




# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

აგვისტო, 2021


- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2021 წლის ივლისში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 9.9 პროცენტი, ხოლო პირველი შვიდი თვის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 12.2 პროცენტი. ამავდროულად, 2019 წლის ივლისთან შედარებით ეკონომიკური ზრდა გაუტოლდა 3.9 პროცენტს
- წლიურმა ინფლაციამ აგვისტოში შეადგინა 12.8 პროცენტი, თუმცა საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 6.8 პროცენტს
- ივლისში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 42.4 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 17.2 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 2 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 462.1 მლნ აშშ დოლარს
- ივლისის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 5.3 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 2.4 პროცენტით წინა თვესთან
- საქართველოს ეროვნული ბანკმა გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10 პროცენტამდე

# ეკონომიკურმა ზრდამ ივლისში შეადგინა 9.9 პროცენტი

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




- წინასწარი შეფასებით, 2021 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 9.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი გაუტოლდა 12.2 პროცენტს.
- 2021 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, დამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა.
- კლება დაფიქსირდა მშენებლობასა და სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგებში.

ეკონომიკური ზრდა, 2021-2019




წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება


## მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




## ინფლაციის დეკომპოზიცია



## საბაზო ინფლაცია




## ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, ავტორის გაანგარიშება

# სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 2 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



- ივლისში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 42.4 პროცენტით და გაუტოლდა 390.9 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 48.5 პროცენტით და გაუტოლდა 285.1 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 17.2 პროცენტით და გაუტოლდა 853 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 2 პროცენტით და გაუტოლდა 462.1 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წილმა შეადგინა 27.1 პროცენტი, ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 37.2 პროცენტი.
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 6.5, 11.6 და -0.8 პროცენტით შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება


ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ივლისი 2021




ექსპორტი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, ივლისი 2021



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ივლისი 2021




იმპორტი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, ივლისი 2021



- ექსპორტის ტოპ საქონელი:
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 74.9 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 19.2 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 42.9 მლნ აშშ დოლარი - 11 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 42.3 მლნ. აშშ დოლარი - 10.8 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ საქონელი:
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 77.8 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 9.1 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 66.6 მლნ აშშ დოლარით - 7.8 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 60.1 მლნ აშშ დოლარით - 7 პროცენტი.
- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
  - ჩინეთი: 80.6 მლნ. აშშ დოლარი - 20.6 პროცენტი.
  - რუსეთი: 58.9 მლნ. აშშ დოლარი, 15.1 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 50.9 მლნ. აშშ დოლარი, 13 პროცენტი.
- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - თურქეთი: 137.3 მლნ. აშშ დოლარი - 16.1 პროცენტი.
  - ჩინეთი: 96.6 მლნ. აშშ დოლარი - 11.3 პროცენტი.
  - რუსეთი: 79.2 მლნ. აშშ დოლარი - 9.3 პროცენტი.

## ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი




## ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, ივლისი 2021


ქვეყანა	ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი
უკრაინა	30.20102
ევროკავშირი + დიდი ბრიტანეთი	28.91231
ისრაელი	20.5057
რუსეთი	19.23448
საუდის არაბეთი	17.40479
აზერბაიჯანი	5.917201
სხვა	83.15664

- 2021 წლის ივლისში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1,602 პროცენტით და 205.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაღალი ზრდა განპირობებულია 2020 წლის ივლისის დაბალი მაჩვენებლით (12.1 მლნ აშშ დოლარი).
- რეგიონსა და ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების მიუხედავად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ნაკლებია 2019 წლის მნიშვნელობაზე. კერძოდ, 2019 წლის ივლისთან შედარებით, 2021 წლის ივლისში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემცირებულია 48.1 პროცენტით.
- ამავე დროს, იანვართან შედარებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 1,882.2 პროცენტით, ხოლო სეზონურად მოსწორების შემთხვევაში, თვიური ზრდა უდრის 35.4 პროცენტს.

## წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



## წმინდა ფულადი გზავნილები




## წმინდა ფულადი გზავნილები, ივლისი 2021

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები	ცვლილება, %წ/წ	წვლილი, %
რუსეთი	32,555.8	-3.4%	-0.7%
იტალია	32,792.8	18.5%	3.1%
აშშ	25,237.2	13.5%	1.8%
საბერძნეთი	19,387.8	1.1%	0.1%
ისრაელი	15,646.2	13.8%	1.1%
სხვა	56,142.1	12.4%	3.7%

- 2021 წლის ივლისში წმინდა ფულადი გზავნილები 181.8 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 9.2 პროცენტთან წლიურ ზრდას.

- გზავნილები გაიზარდა:
  - იტალიიდან: 18.5 პროცენტი (3.1 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).
  - აშშ-დან: 13.5 პროცენტი (1.8 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).
  - ისრაელიდან: 13.8 პროცენტი (1.1 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).
  - გერმანიიდან: 45.7 პროცენტი (1.8 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).

## წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




- გზავნილები შემცირდა:
  - თურქეთიდან: 42.9 პროცენტი (-1.5 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).
  - რუსეთიდან: 3.4 პროცენტი (-0.7 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).




## ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



## რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



## ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




### შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	31 აგვისტო, 2021	31 აგვ 2021 - 1 იან 2021	31 აგვ 2021 - 1 იან 2020
ევრო	3.6768	-12.6%	-16.8%
აშშ დოლარი	3.1170	-8.0%	-14.3%
თურქული ლირა	0.3721	29.5%	35.8%
რუსული რუბლი	0.0424	8.8%	-9.4%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	109.82	-0.7%	-7.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ივლისი, 2020)	118.52	13.0%	4.6%




## პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




## საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



## ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





## ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით





- 2021 წლის აგვისტოში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური გამოშვებით 87.625 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.243 პროცენტი შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 65 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2021 წლის 31 აგვისტოსთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 23.07 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ივლისი 2.41) შედარებით გაიზარდა და 2.97 შეადგინა.

## სესხების ლარიზაცია




## დეპოზიტების ლარიზაცია




- 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 47.7 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 63 პროცენტი.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 31.5 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 39.5 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 55.8 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 25.7 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 39.8 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 46.7 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 32.1 პროცენტს შეადგენს.


## სესხების წლიური ზრდა



## სესხების წლიური ზრდა




## უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ




- 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 13.7 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 12.4 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15 პროცენტს შეადგენს.
- 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 28.3 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 3 პროცენტს გაუტოლდა.
- 2021 წლის 31 ივლისის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 12.7 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 33.9, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 2.8 პროცენტით გაიზარდა.


## დეპოზიტების წლიური ზრდა



## დეპოზიტების წლიური ზრდა




## დეპოზიტების წლიური ზრდა



- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 აგვისტოს 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 17 პროცენტს. შედარებით სტაბილურია უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა და იმავე პერიოდში 10 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 18 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნა და ამავე პერიოდში მისი მნიშვნელობა 8 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2021 წლის აგვისტოს დასაწყისში შეადგინა 12.2 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 8.6 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 21.4 პროცენტი.




## ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 4 აგვისტოს რეფინანსირების განაკვეთის 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეადგენს 10 პროცენტს.
- ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 9 პროცენტზე მაღალი იქნება და 2022 წელს ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და მის საშუალოვადიან მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.
- სებ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილ ფასებზე. ასევე მნიშვნელოვნად მოიმატა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯებმა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე ახდენს გავლენას.
- მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 15 სექტემბერს ჩატარდება.

## სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი





წყარო: სებ

## საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



## საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2021 წლის 1 აგვისტოს უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით – 9.6 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით – 2 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.1 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით – 9 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით – 21.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით – 5.9 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.2 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით – 18.4 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით – 7.3 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის ივლისის ბოლოს 13.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით – 6.9 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში – 6 პროცენტი.



# საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: [info@mof.ge](mailto:info@mof.ge); [www.mof.ge](http://www.mof.ge)



საქართველოს ფინანსთა  
სამინისტრო